დანართი №1

შპს პროფიუნიტი ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები თავმჯდომარე: სახელი, გვარი: ნინო ქიტიაშვილი **წევრები:** სახელი, გვარი: შორენა ალაგარდაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: - შპს პროფიუნიტი
ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საიდენტიფიკაციო კოდი: 204436985

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი ველი):

☐ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

■ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

■ **საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2026 წლის 15 მაისის N576354 6 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ვიზიტის განხორციელება შპს კოლეჯ პროფიუნიტში და ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ე) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ე.ა), ე.ბ) და ე.გ) კომპონენტების შემოწმება. ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში გამოგზავნილი დოკუმენტაცია. შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 28 და 29 მაისს შპს კოლეჯ პროფიუნიტში (ქ. ჭიათურა, გ. თხელიძის ქ. №29).). ვიზიტი განხორციელდა გეგმიური მონიტორინგის ფარგლებში. ექსპერტთა ჯგუფის მიერ დეტალურად გადამოწმდა დაწესებულებაში არსებული მეთოდოლოგიები და დანერგილი პრაქტიკა. ჩატარდა გასაუბრება დაწესებულების დირექტორთან, ადმინისტრაციულ პერსონალთან და შესამოწმებელ საკითხებზე პასუხისმგებელ პირებთან. დათვალიერდა სასწავლო გარემოები და მატერიალური რესურსები. დოკუმენტაციის ანალიზი და გასაუბრების შედეგები დეტალურად არის ასახული დასკვნაში.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების საკითხები, კერძოდ:

N	წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციის აღწერა	ინფორმაცია შესრულების შესახებ
5.1.2.1	კოლეჯის შენობის ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობა არ შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების მარეგულირებელ ნორმებს	მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში დადასტურდა, რომ 2026 წლის 15 აპრილის სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტით N160 კოლეჯის შენობის ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობა შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების მარეგულირებელ ნორმებს
5.1.2.3	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით № 36/20, 09.10.2020წ, საადაც გაწერილია საგანგებო სიტუაციების მართვის და შტაბის წევრთა ფუნქციური მოვალეობები, ასევე საგანგებო სიტუაციების მართვის შტაბის შეტყობინებების სქემა. საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეთანხმებულია კოლეჯის შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან, ნაცვლად კომპეტენტური ორგანოსი/ პირისა	შპს პროფიუნიტს აქვს საგანმანათლებლო დაწესებულების საგანგებო მართვის გეგმა. აღნიშნული გეგმა შეესაბამება „საგანგებო მართვის გეგმის მომზადების წესების შემუშავების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 ოქტომბრის №452 დადგენილებით დამტკიცებული წესების მოთხოვნებს და შეთანხმებულ იქნა სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ, რაც დასტურდება 2025 წლის 14 მაისის შეთანხმების წერილით.
5.1.2.2	კოლეჯს უკვე რამდენიმე თვეა აღარ აქვს გაფორმებული ხელშეკრულება პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენაზე პასუხისმგებელ პირთან, შესაბამისად, დაწესებულებაში არ მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	მონიტორინგის ფარგლებში დადასტურდა, რომ კოლეჯს 2025 წლის 3 თებერვალს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება (შეთანხმების საფუძველზე უვადოდ), რომლის მიხედვითაც შესაბამისი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

		კვალიფიკაციის მქონე პირი დასაქმებულია ექთნის პოზიციაზე. დაწესებულებაში მოქმედებს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული განახლებული „პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმი/წესი“, გამოყოფილი და მარკირებულია პირველადი დახმარების ყუთი, რაც სრულად უზრუნველყოფს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმების პრაქტიკაში ფუნქციონირებას
5.2.1.2	დაწესებულებაში ექსპერტთა ვიზიტის პერიოდამდე არ იყო დასაქმებული IT რისკების მართვაზე პასუხისმგებელი პირი. მასთან ხელშეკრულება გაფორმდა 2024 წლის 1 ოქტომბრიდან, ამდენად, ზემოაღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრული პროცესები პრაქტიკაში არ განხორციელებულა	ვიზიტის ფარგლებში დადასტურდა, რომ 2024 წლის 1 ოქტომბრიდან გაფორმებულია უვადო ხელშეკრულება კვალიფიციურ IT სპეციალისტთან. დაწესებულებაში პრაქტიკულად ამოქმედდა „IT რისკების მართვა, საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობის პოლიტიკა“. ჩატარებული მოკვლევისა და 20.01.2026 წლის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, IT სპეციალისტის მიერ განხორციელდა კომპიუტერების უწყვეტი კვების წყაროების (UPS) აკუმულატორების შეცვლა, როუტერების განახლება და ქსელური გამართვის სამუშაოები.
5.2.1.3	დაწესებულებას არ ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად (ძალაშია 2024 წლის 1 მარტიდან), აუცილებელია, რომ ჰყავდეს	მონიტორინგით დადასტურდა, რომ 2025 წლის 17 მარტიდან კოლეჯს ხელშეკრულება აქვს გაფორმებული პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერთან, რომლის მონაცემებიც ასახულია შესაბამის ოფიციალურ პორტალზე. დაწესებულებაში ასევე დამტკიცებულია და მოქმედებს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა“, რითაც სრულად სრულდება კანონმდებლობის მოთხოვნები.
5.2.1.4	დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა რეგულაცია ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა გამოკითხვებს. გამოკითხვების ფორმები მოიცავს შესაბამის შეკითხვებს IT რესურსების საკმარისობის და რელევანტურობის შესახებ. თუმცა დაწესებულებაში ექსპერტთა ვიზიტის პერიოდამდე	დაწესებულებაში დასაქმებული IT სპეციალისტი მუდმივად და რეგულარულად ახორციელებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურის, eFlow სისტემისა და ვებგვერდის მონიტორინგს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	არ იყო დასაქმებული IT სპეციალისტი. მასთან ხელშეკრულება გაფორმდა 2024 წლის 1 ოქტომბრიდან, ამდენად, IT ტექნიკის, პროცესების გამართულობა პრაქტიკაში ექსპერტთა ვიზიტამდე არ განხორციელებულა	ხარისხის უზრუნველყოფის PDCA ციკლის პრინციპით. IT პროცესებისა და ტექნიკის ეფექტიანობის პრაქტიკული შეფასება და განვითარება დასტურდება IT სპეციალისტის მიერ წარმოდგენილი ანგარიშებით, მოხსენებითი ბარათებითა და შესრულებული სამუშაოს აქტებით
5.3.1.1	ექსპერტთა ვიზიტის დროს კოლეჯის ყოფილ ბუღალტერთან, რომელსაც წვდომა ჰქონდა კოლეჯის საბუღალტრო პროგრამასთან, კომუნიკაცია ვერ მოხერხდა, ვერ იქნა წარმოდგენილი დაწესებულების საფინანსო დოკუმენტაცია. ამდენად, ექსპერტები მოკლებული იყვნენ შესაძლებლობას, შეესწავლათ დაწესებულების ბიუჯეტი და ფინანსური მდგრადობა	მონიტორინგის ვიზიტისას დაწესებულებამ სრულად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით ნაკისრი აქტივობების მტკიცებულებები. აღდგენილ იქნა სრული წვდომა საბუღალტრო პროგრამასთან და წარმოდგენილ იქნა 2024-2025 და 2025-2026 სასწავლო წლების საერთო და პროგრამული ბიუჯეტები. ექსპერტთა ჯგუფს მიეცა სრული შესაძლებლობა, დეტალურად შეესწავლა კოლეჯის ბიუჯეტი და ფინანსური მდგრადობა
5.3.1.2	ვიზიტის დროს, დაწესებულებას 1 თვის წინ ჰქონდა გაფორმებული ხელშეკრულება ბუღალტერთან, რომელსაც არ ჰქონდა წვდომა საბუღალტრო დოკუმენტაციასთან და შესაბამის პროგრამასთან შესაბაისად საფინანსო დოკუმენტაცია ვერ იქნა წარმოდგენილი, ექსპერტები მოკლებული იყვნენ შესაძლებლობას, შეესწავლათ დაწესებულების ბიუჯეტი და ფინანსური მდგრადობა	დაწესებულებამ სრულად აღმოფხვრა აღნიშნული ხარვეზი, ბუღალტერთან ინტერვიუს შედეგად და შესაბამისი პროგრამის შემოწმებით დადასტურდა, რომ აღდგენილია სრული წვდომა საბუღალტრო დოკუმენტაციასთან. ექსპერტებს წარედგინათ წლიური საერთო და თითოეული პროგრამის დეტალური ბიუჯეტები, რაც ადასტურებს, რომ ხარჯები სრულად არის უზრუნველყოფილი.
5.3.1.3	დაწესებულებამ ვიზიტის პერიოდში ვერ წარმოადგინა ფინანსური დოკუმენტაცია, ამდენად, ექსპერტები მოკლებული იყვნენ შესაძლებლობას, შეესწავლათ დაწესებულების ბიუჯეტი და ფინანსური მდგრადობა და მისი შეფასება.	ფინანსური დოკუმენტაცია (ბიუჯეტი, პროგრამების ბიუჯეტი, შესყიდვების დოკუმენტაცია) სრულად იქნა წარმოდგენილი და შესწავლილი. შემოსავლების სამსახურის გადამხდელთა პორტალის გადამოწმებით დადასტურდა რეგულარული საოპერაციო და კომუნალური გადახდები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
5.2) საინფორმაციო რესურსები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
5.3) ფინანსური რესურსები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

არ გამოვლენილა

ნაწილი II: სტანდარტებთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. ავტორიზაციის პირველ, მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზი არ დაფიქსირებულა

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

რეკომენდაციები არ გაცემულა

V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

რეკომენდაციები არ გაცემულა

VI. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

შპს პროფიუნიტის ადმინისტრაცია სრულად იზიარებს და ეთანხმება ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას, რომელიც მომზადდა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 15 მაისის ბრძანების საფუძველზე, 28-29 მაისს განხორციელებული მონიტორინგის ვიზიტის შედეგად. აღნიშნული ვიზიტი და ექსპერტთა პროფესიული უკუკავშირი მნიშვნელოვან სტიმულს წარმოადგენს დაწესებულებისთვის მომავალი რეავტორიზაციის პროცესის ეფექტიანად მომზადებისა და ხარისხის უწყვეტი განვითარებისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება

5. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

5.1 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

5.1.1 პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. **დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;**
2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;**
3. **დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;**
4. **შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;**
5. **დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები;**
6. **დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;**
7. **ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;**
8. **პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;**
9. **ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;**
10. **სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;**
11. **მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.**

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;

დაწესებულება განთავსებულია ქ. ჭიათურაში, თხელიძის ქ. №29-ში მდებარე ოთხსართულიან შენობაში, რომლის მესაკუთრეა შპს პროფიუნიტი, რაც დასტურდება საჯარო რეესტრის ამონაწერით.

შენობის საერთო ფართია 3570,8 კვ.მ. აღნიშნული შენობის პირველი და მეორე სართული შესაბამისი უძრავ-მოძრავი ქონებით გამოიყენება საგანმანათლებლო მიზნებისთვის, თეორიული სწავლების აუდიტორიები, შესაბამისი ავეჯით, კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი სასწავლო ფართი, ადმინისტრაციული სივრცე, დარგობრივი კაბინეტები, ფოიე, არქივისათვის გამოყოფილი სივრცე, ბიბლიოთეკა და სანიტარული კვანძები. დოკუმენტების შესწავლისა და შენობის დათვალიერების შედეგად, ექსპერტების შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;

შპს პროფიუნიტში მატერიალური რესურსებითა და ინფრასტრუქტურით სარგებლობისა და ხელმისაწვდომობის საკითხებს აწესრიგებს შიდა რეგულაცია „მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი“ (დამტკიცებული შპს პროფიუნიტის დირექტორის 2025 წლის 30 ოქტომბრის #73/25 ბრძანებით).

წესი განსაზღვრავს სტუდენტების უფლებას, სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვისთვის გამოიყენონ მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, საინფორმაციო ტექნოლოგიები, ბიბლიოთეკა და სასწავლო გარემო. ამასთანავე, რეგულირდება საერთო სარგებლობის სივრცეებით ხელმისაწვდომობაც: სტუდენტებს უფლება აქვთ, ლექციებს შორის შესვენებისას დასვენებისა და შემოქმედებითი საქმიანობისათვის თავისუფლად ისარგებლონ შენობის ფოიეთი, სველი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წერტილებით, ეზოთი და სტუდენტური სივრცეებით. მატერიალური რესურსის მდგრადობისა და ეფექტურობის მიზნით, დაწესებულებაში მოქმედებს პროგრამების მიხედვით რესურსების რეგულარული შეფასებისა და განვითარების გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულების შიდა რეგულაციები სრულად უზრუნველყოფს სტუდენტთა შეუფერხებელ წვდომას სასწავლო და საერთო სივრცეებზე. ექსპერტების შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;

მონიტორინგის ფარგლებში განხორციელებული ადგილზე დათვალიერებისა და შიდა სამართლებრივი აქტების შესწავლის შედეგად დგინდება, რომ შპს პროფიუნიტის მფლობელობაში არსებულ ყველა სივრცეში (სასწავლო აუდიტორიები, საერთო სარგებლობის ფოიე, დერეფნები და სველი წერტილები) სრულად არის დაცული სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები.

მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესით მკაფიოდ არის განსაზღვრული ადმინისტრატორისა და პასუხისმგებელი პირების ვალდებულება, შექმნან უსაფრთხო, სუფთა და სათანადო პირობები თანამშრომლებისა და პროფესიული სტუდენტებისთვის. ვიზუალური მონიტორინგის დროს ყველა სივრცე, მათ შორის სტუდენტური და საერთო სარგებლობის ადგილები, დაფიქსირდა მოწესრიგებულ და დასუფთავებულ მდგომარეობაში, სივრცეების მოვლა-პატრონობასა და სანიტარული მდგომარეობის მონიტორინგზე პასუხისმგებლობა ადმინისტრაციული პერსონალის მიერ სრულდება ჯეროვნად და რეგულარულად. ექსპერტების შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;

კოლეჯის შენობა აღჭურვილია როგორ ცენტრალური გათბობის სისტემით, ასევე ელექტრო გათბობით, რაც დასტურდება ადგილებზე ვიზუალური დათვალიერებითა და კომუნალური გადახდების ქვითრების გადამოწმებით. ამდენად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები;

შპს პროფიუნიტში შრომის უსაფრთხოების მექანიზმების შესწავლის შედეგად დგინდება, რომ კოლეჯში მოქმედებს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი სისტემა. დაწესებულებაში დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია „შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა“, რომელიც ეფუძნება საქართველოს ორგანულ კანონს „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ და არეგულირებს უსაფრთხო სამუშაო და სასწავლო გარემოს შექმნის საკითხებს პერსონალისა და სტუდენტებისთვის. პოლიტიკის დოკუმენტის მიხედვით, კოლეჯში დანერგილია უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრაქტიკული მექანიზმები: პროცესებს წარმართავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელიც ახორციელებს რისკების შეფასებას, პერიოდულ მონიტორინგს, აღჭურვილობის ვარგისიანობის შემოწმებასა და პერსონალის ინსტრუქტაჟს. შენობა აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო სისტემით, პირველადი ცეცხლმაქრებით, საევაკუაციო გეგმებითა და ვიდეომეთვალყურეობის სისტემით. გარდა ამისა, დოკუმენტით სამართლებრივად მოწესრიგებულია ინციდენტების მოკვლევის, პირველადი სამედიცინო დახმარების, საგანგებო სიტუაციების მართვისა და ჰიგიენური ნორმების დაცვის პროცედურები. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულებაში მოქმედი შრომის უსაფრთხოების მექანიზმები სრულად პასუხობს კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებს. ამდენად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;

შპს პროფიუნიტში სასწავლო პროცესის მატერიალური უზრუნველყოფის მექანიზმები რეგულირდება დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესით“. დოკუმენტის ანალიზით დასტურდება, რომ დაწესებულებაში მოქმედებს საჭირო მასალებისა და ინვენტარის შეუფერხებელი მიწოდების, შესყიდვისა და დაგეგმვის მკაფიო სისტემა. კერძოდ, წესის თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის დაწყებამდე არაუგვიანეს ერთი თვისა მიმდინარეობს მატერიალური რესურსის შეფასება და განვითარების გეგმის შემუშავება. საჭიროებების იდენტიფიცირებას ახორციელებს კოლეჯის ადმინისტრატორი, რომელიც პროგრამის ხელმძღვანელებთან ერთად განსაზღვრავს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აუცილებელ რესურსებს. შესყიდვების ეფექტურად დაგეგმვის მიზნით, დირექტორის მოადგილე, ბუღალტერთან ერთად, ახორციელებს ბაზრის კვლევას/ფასების დადგენას და ფინანსური რესურსების მოძიებას. მასალებისა და ნედლეულის შეძენა, მოვლა-პატრონობა და სასწავლო პროცესისთვის გადაცემა ხდება კოორდინირებულად, ორგანიზაციის ადმინისტრაციული პერსონალის პასუხისმგებლობით.

7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;
შპს პროფიუნიტში არსებული მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესის ანალიზით დგინდება, რომ კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები პირდაპირ ითვალისწინებს რესურსების პერიოდულ შეფასებასა და განვითარებას.
დადგენილი რეგულაციის მიხედვით, ყოველი საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის დაწყებამდე არაუგვიანეს ერთი თვისა, სავალდებულო წესით მიმდინარეობს მატერიალური ბაზის მდგომარეობის შეფასება. ამ პროცესში ერთობლივად ჩართულნი არიან პროგრამის ხელმძღვანელი, ადმინისტრატორი და რესურსზე პასუხისმგებელი პირები, რომლებიც საჭიროებების იდენტიფიცირების საფუძველზე შეიმუშავებენ „მატერიალური რესურსის შეფასებისა და განვითარების გეგმას“ (დანართი 1). მნიშვნელოვანია, რომ ამ გეგმის შესრულების სისტემატურ კონტროლსა და შიდა მონიტორინგს ახორციელებს ხარისხის მართვის კოორდინატორი. ექსპერტების შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;
დაწესებულებაში ფუნქციონირებს სათანადოდ აღჭურვილი სანიტარული კვანძები, რომლებიც სრულად ადაპტირებულია შშმ პირთა საჭიროებებზე და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის. სივრცეები უზრუნველყოფილია უწყვეტი წყალმომარაგებით, სათანადო განათებითა და ვენტილაციის სისტემით. პირადი ჰიგიენის სტანდარტების დასაცავად, თითოეული სველი წერტილი მუდმივად მარაგდება შესაბამისი საშუალებებით, მათ შორის ქაღალდის პირსახოცის დისპენსერებითა და ნარჩენებისათვის განკუთვნილი უკონტაქტო ურნებით. აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები ადასტურებს, რომ ინდიკატორის მოთხოვნა სრულად არის დაკმაყოფილებული.

9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;
დაწესებულების ყველა ფართში არის როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა, რაც უზრუნველყოფილია ელექტორენერგიის უწყვეტი მიწოდების სისტემით. ამდენად, ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;
ადგილზე ვიზუალური დათვალიერებით დასტურდება, რომ კოლეჯის თითოეულ აუდიტორიასა და ადმინისტრაციულ კაბინეტს აქვს ავტონომიური შესასვლელი. ვინაიდან სივრცეები არ არის ერთმანეთში გამავალი, დაცულია სამუშაო და სასწავლო პროცესების კონფიდენციალურობა და სიმშვიდე, რაც გამორიცხავს ნებისმიერ შემაფერხებელ ფაქტორს. ამდენად, აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნა სრულად არის შესრულებული.

11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.
შპს პროფიუნიტში საბიბლიოთეკო რესურსების მართვისა და ხელმისაწვდომობის საკითხებს აწესრიგებს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“. დოკუმენტის ანალიზით დგინდება, რომ დაწესებულებაში უზრუნველყოფილია მომხმარებელთა (სტუდენტებისა და პერსონალის) თანაბარი და შეუფერხებელი წვდომა როგორც მატერიალურ, ისე ელექტრონულ საგანმანათლებლო რესურსებთან.

:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წესის თანახმად, ბიბლიოთეკის ფონდი, რომელიც მოიცავს წიგნებს, პერიოდულ გამოცემებსა და ციფრულ/ელექტრონულ მასალებს, დამუშავებულია და კატალოგიზებულია საბიბლიოთეკო წესების მკაცრი დაცვით, რაც მკითხველს უმარტივებს საჭირო ლიტერატურის მოძიებას. რეგულაცია დეტალურად განსაზღვრავს სამკითხველო დარბაზით, ბეჭდური წიგნების გატანითა და ელექტრონული ბაზებით სარგებლობის ვადებსა და პირობებს. საბიბლიოთეკო ფონდის მუდმივ განახლებასა და მომხმარებელთა საინფორმაციო მხარდაჭერაზე პასუხისმგებელია ბიბლიოთეკარი. ამდენად, ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
- მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი
- ბიბლიოთეკის სარგებლობის წესი
- ბიბლიოთეკის კატალოგი
- შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა აღმწერი რეგულაციები
- კითხვარი მატერიალური რესურსის შეფასებისთვის და გამოკითხვის შედეგები
- ბრძანება საჭირო მატერიალური რესურსების შეფასების პროცესის უზრუნველყოფის მიზნით
- მატერიალური რესურსის შესყიდვის დოკუმენტაცია
- კომუნალური გადასახადების ქვითრები
- ხელშეკრულება შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან და მისი პირადი საქმე
- ინტერვიუს შედეგები

5.1.2 პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება

1. **დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;**
2. **დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;**
3. **დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;**
4. **დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.**

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;

მონიტორინგის წინა ვიზიტის დროს დაფიქსირდა, რომ კოლეჯის შენობის ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობა არ შეესაბამებოდა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების მარეგულირებელ ნორმებს.

ვიზიტის ფარგლებში დადასტურდა, რომ 2026 წლის 15 აპრილის სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტით N160 კოლეჯის შენობის ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობა შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების მარეგულირებელ ნორმებს. ამდენად, ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მონიტორინგის წინა ვიზიტის დროს დაფიქსირდა, რომ კოლეჯს რამდენიმე თვე არ ქონდა გაფორმებული ხელშეკრულება პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენაზე პასუხისმგებელ პირთან, შესაბამისად დაწესებულებაში არ მოქმედებდა პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები.

ვიზიტის ფარგლებში დადასტურდა, რომ კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება 2025 წლის 3 თებერვალს (შეთანხმების საფუძველზე უვადოდ), რომლის მიხედვითაც შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი დასაქმებულია ექთნის პოზიციაზე.

შპს პროფიუნიტში დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია განახლებული „პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმი/წესი“, რომელიც სრულად არეგულირებს სტუდენტებისა და პერსონალის ჯანმრთელობის უსაფრთხოების პროცედურებს. წესის მიხედვით, კოლეჯში დანერგილია უზრუნველყოფის ინსტრუმენტები: სამედიცინო მხარდაჭერაზე პასუხისმგებელ პირად დანიშნულია კვალიფიციური ექთანი. შენობაში გამოყოფილ ადგილას განთავსებულია სათანადოდ მარკირებული პირველადი დახმარების ყუთი. დამატებით, გაწერილია 112-ის საგანგებო სამსახურთან კოორდინაციის, ოჯახის წევრების ინფორმირებისა და შემთხვევების სპეციალურ ჟურნალში აღრიცხვის წესი.

3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;

მონიტორინგის წინა ვიზიტის დროს დაფიქსირდა, რომ დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით № 36/20, 09.10.2020წ, სადაც გაწერილია საგანგებო სიტუაციების მართვის და შტაბის წევრთა ფუნქციური მოვალეობები, ასევე საგანგებო სიტუაციების მართვის შტაბის შეტყობინებების სქემა. საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეთანხმებულია კოლეჯის შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან, ნაცვლად კომპეტენტური ორგანოსი/ პირისა.

ვიზიტის ფარგლებში დადასტურდა, რომ შპს პროფიუნიტს აქვს საგანმანათლებლო დაწესებულების საგანგებო მართვის გეგმა. აღნიშნული გეგმა შეესაბამება „საგანგებო მართვის გეგმის მომზადების წესების შემუშავების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 ოქტომბრის №452 დადგენილებით დამტკიცებული წესების მოთხოვნებს და შეთანხმებულ იქნა სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ, რაც დასტურდება 2025 წლის 14 მაისის შეთანხმების წერილით და შეთანხმებული გეგმით. ამდენად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

შპს პროფიუნიტში წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს დარაჯი. განსაზღვრულია უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის მექანიზმები. წესრიგის დაცვის უზრუნველსაყოფად შენობის მთელ შიდა და გარე პერიმეტრზე განთავსებულია სათვალთვალო კამერები. ამდენად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- 2026 წლის 15 აპრილის სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტით N160, თანდართული წერილებით;
- ხელშეკრულება ექთანთან, თანდართული შეთანხმებით;
- პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმი/წესი;
- შესაბამის სამსახურთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;
- შენობა-ნაგებობის მთლიან შიდა და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებული ვიდეოჩანაწერის შენახვის ფუნქციით აღჭურვილი უსაფრთხოების კამერების სისტემის შემოწმების შედეგი;
- ვიზუალური დათვალიერების და ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

5.2 საინფორმაციო რესურსები

5.2.1 პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. **პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;**
2. **პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;**
3. **დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;**
4. **პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;**
5. **პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;**
6. **პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.**

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;

შპს პროფიუნიტი აღჭურვილია საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული საქმიანობისთვის საჭირო, სათანადო პარამეტრების მქონე კომპიუტერული ტექნიკის საკმარისი რაოდენობით. ტექნიკის პროგრამული უზრუნველყოფა სრულად შეესაბამება მოთხოვნილი სტუდენტების ზღვრულ რაოდენობასა და სასწავლო პროგრამების სპეციფიკას. აღნიშნული რესურსი იძლევა ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვის შესაძლებლობას. დაწესებულებაში მოქმედი „მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესის“ საფუძველზე, კოლეჯი ეფექტურად უზრუნველყოფს კომპიუტერული ტექნიკის გამართულობასა და ინტერნეტ-რესურსების მუდმივ ხელმისაწვდომობას სტუდენტებისა და თანამშრომლებისთვის. ამდენად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;

მონიტორინგის წინა ვიზიტის დროს დაფიქსირდა, რომ დაწესებულებაში ექსპერტთა ვიზიტის პერიოდამდე არ იყო დასაქმებული IT რისკების მართვაზე პასუხისმგებელი პირი. მასთან ხელშეკრულება გაფორმდა 2024 წლის 1 ოქტომბრიდან, ამდენად, ზემოაღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრული პროცესები პრაქტიკაში არ განხორციელებულა.

ვიზიტის ფარგლებში დადასტურდა, რომ 2024 წლის 1 ოქტომბრიდან გაფორმებულია უვადო ხელშეკრულება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტთან და დაწესებულებას საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვის მიზნით შემუშავებული აქვს დოკუმენტი „IT რისკების მართვა, საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობის პოლიტიკა“ დამტკიცებულია დირექტორის ბრძანება №29/20, 01.09.2020წ., რომელშიც ცვლილება შესულია 2025 წლის 26 დეკემბრის 96/25 ბრძანებით.

აღნიშნული წესით ქსელის უსაფრთხოებაზე, პროგრამულ გამართულობასა და რისკების დროულ აღმოფხვრაზე პასუხისმგებლობა აკისრია კოლეჯის IT სპეციალისტს. რისკების პრევენციის მიზნით, დაწესებულებაში კონტროლდება ინფორმაციულ აქტივებზე არაავტორიზებული წვდომა, მოქმედებს მკაცრი წესები პაროლების დაცვასთან დაკავშირებით და იზღუდება არასასწავლო/საეჭვო პროგრამების ინსტალაცია. გარდა ამისა, მონაცემთა დაკარგვის თავიდან ასაცილებლად ხორციელდება მათი პერიოდული რეზერვაცია (Backup), ხოლო კოლეჯის შიდა და უკაბელო ქსელები დაცულია უნებართვო შეჭრისგან.

რისკების პრაქტიკული მართვა და მონიტორინგი დასტურდება საქმისწარმოების დოკუმენტაციითაც. კერძოდ, IT სპეციალისტის მიერ ჩატარებული მოკვლევისა და წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათის (20.01.2026) საფუძველზე, კოლეჯში დროულად მოხდა პოტენციური რისკების მქონე ტექნიკისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროცესების იდენტიფიცირება. გამოვლენილი ხარვეზების საპასუხოდ, დაწესებულებამ ოპერატიულად უზრუნველყო სისტემური გამართულობის ღონისძიებები: შესრულებული სამუშაოს აქტებით დასტურდება, რომ განხორციელდა კომპიუტერების უწყვეტი კვების წყაროების (UPS) აკუმულატორების შეცვლა ძაბვის ვარდნის თავიდან ასაცილებლად, მოგვარდა ინტერნეტ-კავშირის პრობლემები, დაპროგრამდა Wi-Fi მოწყობილობები და განახლდა როუტერები. ამდენად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;

მონიტორინგის წინა ვიზიტის დროს დაფიქსირდა, რომ დაწესებულებას არ ჰყავდა პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელი პირი.

ვიზიტის ფარგლებში დადასტურდა, რომ 2025 წლის 17 მარტიდან კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერთან, რომლის მონაცემებიც ასახულია შესაბამის პორტალზე.

შპს პროფიუნიტში დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა“, რომელიც სავალდებულოა შესასრულებლად პერსონალისა და სტუდენტებისთვის. პოლიტიკის მიხედვით, მონაცემთა დამუშავება ხორციელდება მხოლოდ კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული კანონიერი მიზნებისათვის. ინფორმაციის უსაფრთხოების მიზნით, კოლეჯში დანერგილია სათანადო ტექნიკური ზომები მონაცემთა უნებართვო წვდომისგან, დაკარგვისგან ან გამჟღავნებისგან დასაცავად, ხოლო ელექტრონულ სისტემებში წვდომა შეზღუდულია ინდივიდუალური პაროლებით. გარდა ამისა, პროცესების ეფექტური კონტროლისა და მონიტორინგის მიზნით, კოლეჯში განსაზღვრულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი. ამდენად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;

საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და ელექტრონული სერვისების შეფასება ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემასთან მჭიდრო ინტეგრაციით და ეფუძნება PDCA ციკლის („დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე, განავითარე“) უწყვეტ პრინციპს. IT პროცესების ეფექტიანობის შეფასებაზე, მონიტორინგსა და ხარვეზების იდენტიფიცირებაზე პასუხისმგებელია კოლეჯის IT სპეციალისტი, რომელიც ახორციელებს ციფრული ინფრასტრუქტურის, დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემისა (eFlow) და ვებგვერდის სისტემატურ შემოწმებას. მონიტორინგის შედეგები და გამოვლენილი საჭიროებები ფორმდება ანგარიშებისა და მოხსენებითი ბარათების სახით, რაც საფუძვლად ედება შემდგომ ტექნიკურ თუ სისტემურ განახლებებს, რათა უზრუნველყოფილ იქნას უსაფრთხო, გამართული და სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო და ადმინისტრაციული გარემო.

აღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულებაში საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების ეფექტიანობის შეფასება მიმდინარეობს რეგულარულად, ხარისხის შიდა მექანიზმების მოთხოვნათა სრული დაცვით. ამდენად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;

კოლეჯი სრულად უზრუნველყოფს სტუდენტებისა და პერსონალის მუდმივ წვდომას საჭირო ციფრულ რესურსებზე. დაწესებულების დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული პოლიტიკა ავალდებულებს კოლეჯს, მუდმივად შეინარჩუნოს კომპიუტერული ტექნიკა გამართულ მდგომარეობაში და უზრუნველყოს ინტერნეტ-რესურსებისა თუ კომუნიკაციის საშუალებების უწყვეტი ხელმისაწვდომობა.

IT მომსახურების გამართულობაზე პასუხისმგებელია კოლეჯის IT სპეციალისტი, რომელიც ახორციელებს ქსელის, პროგრამული უზრუნველყოფისა და ტექნიკის მართვას. სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების შეუფერხებლად წარმართვისთვის მომხმარებლებისთვის მუდმივად ხელმისაწვდომია შიდა და უკაბელო (Wi-Fi) ქსელები, Office 365-ის სისტემა, ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა (eFlow) და ოფიციალური ვებგვერდი. ხარისხის უზრუნველყოფის რეგულაციების შესაბამისად, IT ინფრასტრუქტურის მონიტორინგი მიმდინარეობს სისტემატურად. ამდენად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.
კოლეჯი საინფორმაციო პლატფორმების საშუალებით (Gmail, Facebook, sms) უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ერთიან საკომუნიკაციო სივრცეს. ამდენად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი
- საინფორმაციო ტექნოლოგიების რისკების მართვის პოლიტიკა
- ხელშეკრულება IT სპეციალისტთან
- მოხსენებითი ბარათები და შესრულებული სამუშაოს აქტები
- პერსონალური მონაცემთა დაცვის პოლიტიკა
- ხელშეკრულება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერთან

5.2.2 პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. **პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;**
2. **პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;**
3. **პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;**
4. **პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.**

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
დაწესებულებაში საქმისწარმოება წარიმართება დირექტორის 2024 წლის 12 იანვრის №001/24 ბრძანებით შემოღებული წესის საფუძველზე. აღნიშნული დოკუმენტი აწესრიგებს კოლეჯში დოკუმენტბრუნვის მთელ ციკლს, დოკუმენტის წარმოქმნის ან მიღების ეტაპიდან მის საბოლოო შესრულებამდე, გაგზავნამდე ან სათანადო საქმეში განთავსებამდე. წესი ვრცელდება დაწესებულების ყველა თანამშრომელზე და სავალდებულოა შესასრულებლად.
დოკუმენტი მოიცავს როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური ფორმით დოკუმენტბრუნვის წესსა და პროცედურებს. მისი დებულებები სრულ შესაბამისობაშია საქმისწარმოების ერთიანი ინსტრუქციის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნებთან.
გამოცემული სამართლებრივი აქტების, შემოსული და გასული კორესპონდენციისა და ხელშეკრულებების აღრიცხვა ხდება სათანადო საკანცელარიო ჟურნალების მეშვეობით. ყველა სარეგისტრაციო ჟურნალი გაფორმებულია დადგენილი წესით: ზონარგაყრილი, გადანომრილი და დალუქული. ბრძანებები და ხელშეკრულებები სათანადოდ არის გატარებული შესაბამის სარეგისტრაციო ჟურნალებში. ამდენად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;
დაწესებულებაში დოკუმენტბრუნვა წარიმართება როგორც მატერიალურად, ისე „eflow"-ის პროგრამული სისტემის მეშვეობით, რომელიც ელექტრონული საქმისწარმოების ავტომატიზაციას უზრუნველყოფს. ელექტრონული მართვის სისტემის გამოყენება დადასტურდა საქმისმწარმოებელთან ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე, ასევე უშუალოდ „eflow"-ში კორესპონდენციის მიღება-გაგზავნის პროცესის გაცნობის გზით. ამდენად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;

დაწესებულება ჩართულია პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში და უზრუნველყოფს მასში ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას. შეფასების ვიზიტის ფარგლებში რეესტრზე პასუხისმგებელ პირთან ჩატარებული ინტერვიუს დროს ექსპერტებს საშუალება ჰქონდათ უშუალოდ გასცნობოდნენ სისტემაში არსებულ მონაცემებს და გადაემოწმებინათ მათი სისრულე და სისწორე. კერძოდ, გადამოწმდა სტუდენტის სტატუსის შეჩერებისა და აღდგენის შესახებ შეტანილი მონაცემების სიზუსტე, რის შედეგადაც დადასტურდა, რომ დაწესებულება რეესტრს აწარმოებს სათანადოდ და კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად. ამდენად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

დაწესებულება თანამშრომლობს პროფესიული განათლების სფეროში მოქმედ სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოებთან: განათლების სამინისტროსთან, ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასთან და სხვა უწყებებთან. მოთხოვნილი ინფორმაცია, ანგარიშები და უკუკავშირი მიეწოდება შესაბამის ორგანოებს დადგენილ ვადებში, რაც ვლინდება მიღებულ მოთხოვნებზე გაცემული პასუხების გაანალიზებით. კორესპონდენციის განაწილება და შემდგომი რეაგირება წარიმართება საქმისმწარმოებლის მეშვეობით, რომელიც პასუხისმგებელია დოკუმენტაციის დროულად მიწოდებაზე. მონიტორინგის პროცესში ექსპერტებმა საკითხზე პასუხისმგებელ პირთან გასაუბრების საფუძველზე დაადასტურეს, რომ აღწერილი პრაქტიკა დაწესებულებაში რეალურად ფუნქციონირებს. ამდენად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 12 იანვრის №01/24 ბრძანებით დამტკიცებული საქმისწარმოების წესი;
- პროფესიული განათლების მართვის სისტემის ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელი პირის - რეესტრის კოორდინატორის სამუშაო აღწერილობა და გაფორმებული ხელშეკრულება;
- საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელი პირის სამუშაო აღწერილობა და გაფორმებული ხელშეკრულება

5.2.3 პსდ მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. **პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;**
2. **დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;**
3. **პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;**
4. **საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;**
5. **პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;**
6. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;

კოლეჯის „საზოგადოებასთან ურთიერთობის და კომუნიკაციის წესის“ საფუძველზე დგინდება, რომ კოლეჯის ოფიციალური პლატფორმები სრულად ასრულებენ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციას. წინამდებარე წესის თანახმად, ოფიციალური ვებგვერდი (www.profiuniti.ge) და ფეისბუქ გვერდი წარმოადგენს ინფორმაციის მასობრივი გავრცელების მთავარ საშუალებას, რომელიც პირდაპირ უზრუნველყოფს საზოგადოებრივი ინტერესების შესაბამისი სიახლეებისა და მიმდინარე თუ დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღებას. აღნიშნული ონლაინ პლატფორმების მუდმივ განახლებასა და ოპერატიულ ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელია საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი, რომელსაც სხვადასხვა აქტივობაზე პასუხისმგებელი პირები დროულად აწვდიან საჭირო მასალებს. ამასთანავე, კომუნიკაციის პროცესში მიღებული ნებისმიერი უკუკავშირი სისტემატურად ანალიზდება დირექტორის მოადგილის მიერ თანამშრომლების ჩართულობით და გამოიყენება დაწესებულების საქმიანობისა და საინფორმაციო მომსახურების ხარისხის შემდგომი გაუმჯობესებისთვის. შესაბამისად, კოლეჯის საკომუნიკაციო სივრცე ფუნქციონირებს გამართულად და სრულად პასუხობს დაინტერესებული მხარეების დროული ინფორმირებულობის ინტერესებს. ამდენად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;

დაწესებულებას არ აქვს უცხოენოვანი ვებ გვერდი, რადგან არ ახორციელებს და უახლოეს პერიოდში არც გეგმავს უცხოენოვანი პროგრამების დამატებას, შესაბამისად არც მისიის განაცხადში არ აქვს განსაზღვრული საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი.

3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;

წესის თანახმად, ნებისმიერი საინფორმაციო თუ სარეკლამო მასალის, ფოტოსა თუ ვიდეოს საჯარო სივრცეში (ვებგვერდსა და ფეისბუქ გვერდზე) განთავსება ხდება დირექტორთან შეთანხმებით და მხოლოდ კონკრეტულ აქტივობაზე პასუხისმგებელი პირების მიერ მიწოდებული, გადამოწმებული პირველწყაროს საფუძველზე. ამასთანავე, ინფორმაციის გავრცელებისას კოლეჯი მკაცრად იცავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონმდებლობის მოთხოვნებს, რაც დამატებით უზრუნველყოფს საზოგადოებისთვის მიწოდებული ინფორმაციის სამართლებრივ სიზუსტესა და უტყუარობას. ამდენად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;

კატალოგი ინფორმატიულია და მოიცავს საკონტაქტო რეკვიზიტებს და ზოგად ინფორმაციას კოლეჯის ისტორიის, მისიისა და ძირითადი პრიორიტეტების შესახებ. მასში დეტალურად არის წარმოდგენილი ინფორმაცია კოლეჯის პროგრამების შესახებ. ამდენად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;

პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად დაწესებულება სისტემატიურად აახლებს საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგს. ვებ გვერდზე განთავსებულია კატალოგების არქივი 2013 წლიდან მიმდინარე წლის ჩათვლით. ამდენად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სხვადასხვა საკომუნიკაციო არხების (ვებგვერდი, სოციალური ქსელები, ელექტრონული ფოსტა, სატელეფონო და პირისპირ კომუნიკაცია) მეშვეობით მიღებული შედეგები და ინფორმაცია მიზნობრივად გამოიყენება კოლეჯის საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული საქმიანობის ხარისხის ასამაღლებლად. შიდა რეგულაციით განსაზღვრულია, რომ უკუკავშირის ანალიზის პროცესს წარმართავს დირექტორის მოადგილე პერსონალისა და თანამშრომლების აქტიური ჩართულობით. შესაბამისად, დაწესებულებაში მოქმედებს უკუკავშირის მიღებისა და ანალიზის მექანიზმი, რაც უზრუნველყოფს ხარისხის მართვის პროცესის მუდმივ გაუმჯობესებას საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით. ამდენად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კოლეჯის ვებგვერდი https://profiuniti.ge/
- კოლეჯის ფეისბუქ გვერდი https://www.facebook.com/profile.php?id=100054407282059
- პროგრამების კატალოგი
- საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი
- ინტერვიუს შედეგები

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

5.3 ფინანსური რესურსები

5.3.1 დაწესებულება ფინანსურად მდგრადია

1. **პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება;**
2. **საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით;**
3. **დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას;**
4. **დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.**

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება;

მონიტორინგის წინა ვიზიტის დროს ვერ მოხერხდა კომუნიკაცია კოლეჯის ყოფილ ბუღალტერთან, რომელსაც ჰქონდა წვდომა კოლეჯის ფინანსურ რესურსებთან, და შესაბამისად ვერ იქნა წარმოდგენილი საფინანსო დოკუმენტაცია.

განმეორებითი ვიზიტის ფარგლებში დადასტურდა, რომ კოლეჯ პროფიუნიტმა შეასრულა სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით ნაკისრი ყველა აქტივობა, რომელიც დამტკიცებული იყო დირექტორის 2024 წლის 29 ნოემბრის №79/24 ბრძანებით, და წარმოადგინა შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებები. კერძოდ, პსდ-მ აღადგინა ბუღალტრულ პროგრამებზე წვდომა, რაც დადასტურდა როგორც შესაბამისი მტკიცებულებით, ასევე ბუღალტერთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგად. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა 2024-2025 და 2025-2026 სასწავლო წლების ბიუჯეტი და ამავე წლების პროფესიული პროგრამების ბიუჯეტი. ბიუჯეტისა და შესყიდვების დოკუმენტების შესწავლით დადასტურდა, რომ დაწესებულების ფინანსური რესურსით სრულად უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება, კერძოდ: ბიუჯეტში გათვალისწინებულია პროფესიული პროგრამების განხორციელება-განვითარებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით საჭირო დაფინანსება, მათ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შორის შრომის ანაზღაურების, იჯარისა და კომუნალური მომსახურების ხარჯები. აღსანიშნავია, რომ დაწესებულების ბიუჯეტი წელიწადიდან წელიწადამდე ზრდადი დინამიკით ხასიათდება, რაც ადასტურებს კოლეჯის ფინანსური მდგომარეობის სტაბილურობასა და მდგრად განვითარებას. დაწესებულების შემოსავლები უზრუნველყოფილია ვაუჩერული დაფინანსებითა და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტების სწავლის საფასურით. კოლეჯი ახორციელებს სამ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლებიც პრიორიტეტულად არის დასახელებული და სრულად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ. გარდა ამისა, იმ პროფესიული სტუდენტების დაფინანსება, რომლებიც დასაქმებულნი არიან „გორგიან მანგანეზში", უზრუნველყოფილია აღნიშნული კომპანიის მიერ. პსდ-ს დამატებით გაფორმებული აქვს თანამშრომლობის ხელშეკრულება კიდევ ორ კომპანიასთან: შპს ჭიათურა მენეჯმენტ კომპანისთან (30.10.2024) და შპს ჭიათურა გამამდიდრებელ ქარხანასთან (02.02.2026), რაც კიდევ უფრო ამყარებს კოლეჯის ფინანსურ მდგრადობას და შემოსავლების დივერსიფიკაციას. ამდენად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით;

მონიტორინგის წინა ვიზიტის დროს დაწესებულებას ახლადდასაქმებულ ბუღალტერს არ ჰქონდა წვდომა საბუღალტრო დოკუმენტაციასა და შესაბამის პროგრამასთან, რის გამოც საფინანსო დოკუმენტაცია ვერ იქნა წარმოდგენილი და ექსპერტები მოკლებული იყვნენ შესაძლებლობას, შეესწავლათ დაწესებულების ბიუჯეტი და ფინანსური მდგრადობა. შესაბამისად, ინდიკატორის მოთხოვნა წინა ვიზიტის დროს არ იყო დაკმაყოფილებული და სტანდარტი შეფასებული იყო როგორც „მეტწილად შესაბამისი".

განმეორებითი ვიზიტის ფარგლებში დადასტურდა, რომ აღნიშნული ხარვეზი სრულად აღმოფხვრილია. პსდ-მ აღადგინა საბუღალტრო პროგრამაზე წვდომა, რაც დადასტურდა ბუღალტერთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგად. გარდა ამისა, ვიზიტის დროს შემოწმდა შემოსავლების სამსახურის გადამხდელთა პორტალი, სადაც დადასტურდა კომუნალური და სხვა საოპერაციო გადახდების განხორციელება. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა 2024-2025 და 2025-2026 სასწავლო წლების როგორც საერთო ბიუჯეტი, ასევე თითოეული პროფესიული პროგრამის ცალკე ბიუჯეტი. პროგრამების ბიუჯეტი მოიცავს შემდეგ მუხლებს: პერსონალის შრომის ანაზღაურება, პროფესიული განვითარების ხარჯები, სასწავლო მასალებისა და რესურსების შეძენა, ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობა, კომუნალური და საოპერაციო ხარჯები, ასევე ადმინისტრაციული და მართვის ხარჯები. ბიუჯეტისა და შესყიდვების დოკუმენტების შესწავლით დადასტურდა, რომ საოპერაციო ხარჯები სრულად უზრუნველყოფილია დაწესებულების ფინანსური რესურსით. ამდენად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას;

მონიტორინგის წინა ვიზიტის დროს დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა ფინანსური დოკუმენტაცია, შესაბამისად ექსპერტები მოკლებული იყვნენ შესაძლებლობას შეესწავლათ და შეეფასებინათ დაწესებულების ფინანსური მდგრადობა. სტანდარტის მოთხოვნა შეფასებული იყო როგორც „მეტწილად შესაბამისი".

განმეორებითი ვიზიტის ფარგლებში დადასტურდა, რომ აღნიშნული ხარვეზი სრულად აღმოფხვრილია. საბუღალტრო პროგრამაზე წვდომის აღდგენისა და ფინანსური დოკუმენტაციის მოწესრიგების შემდეგ, დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგომარეობის რეგულარულ თვალყურის დევნებას და შეფასებას. კერძოდ, დაწესებულება აწარმოებს წლიურ ბიუჯეტს შემოსავლებისა და ხარჯების ჭრილში, ადგენს შესყიდვების გეგმას და აკონტროლებს მის შესრულებას. ვიზიტის დროს შემოწმდა შემოსავლების სამსახურის გადამხდელთა პორტალი, სადაც დადასტურდა, რომ დაწესებულება რეგულარულად ახორციელებს გადახდებს, რაც თავისთავად წარმოადგენს ფინანსური მდგომარეობის მონიტორინგის პრაქტიკულ გამოხატულებას. ბიუჯეტი მტკიცდება დირექტორის ბრძანებით, რაც უზრუნველყოფს ფინანსური გადაწყვეტილებების ფორმალიზებას და გამჭვირვალობას. აღსანიშნავია, რომ ფინანსებზე პასუხისმგებელმა პირებმა ვიზიტის დროს განაცხადეს, რომ 2025-2026 სასწავლო წლიდან დაიწყებენ ბიუჯეტის შესრულების ანგარიშების წარმოებას, რაც კიდევ უფრო გააძლიერებს ფინანსური მდგომარეობის ობიექტური შეფასების პრაქტიკას. ამდენად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

დაწესებულების მიერ ვებგვერდზე განთავსებულია სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშები და სამოქმედო გეგმები. დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენელთა განმარტებით, ისინი რეგულარულად აანალიზებენ ყოველწლიურ ანგარიშებს, აფასებენ საკუთარ ფინანსურ შესაძლებლობებსა და მდგრადობას და შეფასების შედეგებზე დაყრდნობით გეგმავენ შემდეგი წლის აქტივობებს.

აღსანიშნავია, რომ წინამდებარე მონიტორინგის პროცესი თავად წარმოადგენს დაწესებულების მიერ შეფასების შედეგებზე სათანადო რეაგირების თვალსაჩინო მაგალითს. კერძოდ, წინა ვიზიტის დროს გამოვლენილი ფინანსური დოკუმენტაციის ხარვეზის საპასუხოდ დაწესებულებამ დაუყოვნებლივ შეიმუშავა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, განსაზღვრა კონკრეტული აქტივობები, ვადები და პასუხისმგებელი პირები და დადგენილ ვადებში სრულად შეასრულა ნაკისრი ვალდებულებები. ეს ადასტურებს, რომ დაწესებულება არა მხოლოდ დეკლარაციულად, არამედ პრაქტიკულადაც სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე და მათ იყენებს განვითარებისა და გაუმჯობესების საფუძვლად. ამდენად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასწავლო ბიუჯეტი;
- პროგამების ბიუჯეტი;
- შესყიდვების მტკიცებულება
- 2024-2025 სამოქმედო გეგმის შეფასების წლიური ანგარიში;
- ბუღალტრული პროგრამის აღდგენის დოკუმენტი
- პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი VI. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი
თარიღი: 23.06.2026

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: